საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის
ოქმი N 2

ქ. თბილისი, 01.04.2020.

დისტანციურ სხდომას ესწრებოდნენ: ამირხანაშვილი ივანე, ანანიაშვილი იური, ბერულავა გიორგი, გოგიაშვილი ლიანა, ლომინაძე გიორგი, ნადარაია ელიზბარ, ოკრიბელაშვილი ნინო, პაპავა გივი, სალუქვაძე იოსებ, შალიკაშვილი მორის, შენგელაია ალექსანდრე, ჩიტაშვილი მარინე, ხუციშვილი ქეთევან, ჯობავა თამარ.

დღის წესრიგი:

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის“ დოქტორანტ **ირაკლი დანელიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის“ დოქტორანტ **ქეთი ცხადაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის“ დოქტორანტ **სულხან ტაბაღუას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის“ დოქტორანტ **ცოტნე ჟღენტის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
5. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ისტორიის“ დოქტორანტ **მიხეილ ქართველიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
6. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ დოქტორანტ **ავთანდილ მაჭავარიანის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
7. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ დოქტორანტ **თეიმურაზ გრძელიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
8. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ნინო გოგელიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში ფაკულტეტის მიერ დაშვებული ტექნიკური ხარვეზის საკითხის განხილვა და კომისიაში ახალი წევრის დამტკიცება.

9. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირების“ დოქტორანტ **ზურაბ კირკიტაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.
10. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის“ დოქტორანტ **ხათუნა თაბაგარის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.
11. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის“ დოქტორანტ **სალომე სილაგაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.
12. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის“ დოქტორანტ **გივი მაკალათიას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ირაკლი დანელიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, თსუ ასოც. პროფესორმა, შოთა ვეშაპიძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის„გეოეკონომიკური ჰაბის სატრანზიტო შესაძლებლობების განვითარების პერს პექტივები საქართველოში“ - დაცვის პროცედურების მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის ყველა, 11 წევრი. დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს 11 სამეცნიერო სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 98 ქულით.
აზრი გამოთქვა: მ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის მიერ ელ.რესურსებში განთავსებული, დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული 3 სტატიიდან, ორს მინიჭებული აქვს DOI, თუმცა არ ჩანს რომელ ჟურნალებშია გამოქვეყნებული. ერთი ნაშრომიდან კი ირკვევა.
აზრი გამოთქვა: თ. ჯობავა დაეთანხმა მ. ჩიტაშვილის შენიშვნას. აღნიშნა, რომ წარმოდგენილი უნდა იყოს ჟურნალიდან ამონაბეჭდი.
აზრი გამოთქვა: ლ. გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ ყველა მონაცემები უნდა იყოს სრულად მითითებული.
მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა მიმართა ბატონ შოთა ვეშაპიძეს და ქალბატონ დალი კანდელაკს, თუ აქვთ პასუხი აღნიშნულ საკითხზე.
მოისმინეს: შ. ვეშაპიძემ განაცხადა, რომ ფაკულტეტზე დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი იყო ნაშრომები, რომლებიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს.
აზრი გამოთქვა: ნ. ოკრიბელაშვილმა გადაამოწმა დოქტორანტის გამოქვეყნებული ნაშრომები Google scholar-ში და საბჭოს წევრებს მოახსენა დოქტორანტისმიერ 2017 წელს გამოქვეყნებული ნაშრომების სათაურები, შესაბამისი ჟურნალები და ციტირების ინდექსი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა ნინო ოკრიბელაშვილს მოწოდებული ინფორმაციისთვის.
აზრი გამოთქვა: მ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ პირველი ორი სტატია, რომელიც განთავსებულია იმ დონის ჟურნალში, რომელშიც ყველანაირი სტატია დაიბეჭდება, ხოლო ერთ სტატიაში ყველაფერია მითითებული. მოთხოვნების მიხედვით, დოქტორანტს აქვს ერთი სრულიად დამაკმაყოფილებელი სტატია, რაც ხარისხის მინიჭებისთვის საკმარისია.
აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილი დაეთანხმა მ. ჩიტაშვილს, რომ ფაკულტეტმა ნამდვილად სრულად უნდა მიუთითოს.
აზრი გამოთქვა: ა. შენგელაიამ აღნიშნა, რომ სტანდარტი აუცილებლად უნდა დავიცვათ.
მოისმინეს: დ.კანდელაკი ესაუბრა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენელს, მანანა ლობჟანიძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ არსებული მდგომარეობის გამო ვერ მოახერხა სრულყოფილად მასალების ატვირთვა.
აზრი გამოთქვა: მ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ სტატია არაა მითითებული და ახლა არ აქვს მნიშვნელობა ამის გარკვევას.
აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ერთი პუბლიკაციაც საკმარისია აკადემიურიხარისხის მინიჭების განსახილველად. ეს ახლა ხელს არ უშლის კენჭისყრაზე დავაყენოთ საკითხი.
აზრი გამოთქვა: თ. ჯობავა დაინტერესდა, დისერტაციის შესრულების პერიოდში თუ მუშაობდა დოქტორანტი ?
მოისმინეს: შ. ვეშაპიძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტი არის საერთაშორისო ექსპერტი იმ საკითხებში, რაზეც დისერტაცია დაწერა.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ირაკლი დანელიასთვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის“ დოქტორანტ **ქეთი ცხადაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა, შოთა ვეშაპიძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის - „საერთაშორისო სავალუტო ბაზრის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე“ - დაცვის პროცედურების მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს 5 სამეცნიერო სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 97 ქულით.
აზრი გამოთქვა: ა. შენგელაიამ აღნიშნა, რომ გაეცნო ნაშრომს, რომელიც მნიშვნელოვან მასალას შეიცავს და მეტად ინფორმატიულია; დისერტაცია საინტერესოა როგორც ფიზიკოსისთვის.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ქეთი ცხადაძისთვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის" დოქტორანტ **სულხან ტაბაღუას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის. მან აღნიშნა, რომ სხდომის მიმდინარეობას დისტანციურად ჯერ არ შემოერთებია სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი პროფესორი ე. მექვაბიშვილი და შესაბამისად, საბჭოს შესთავაზა საკითხის განხილვა სხდომის მიმდინარეობისას.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის" დოქტორანტ **ცოტნე ჟღენტის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, თსუ ასოც. პროფესორმა, მურმან ცარციძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის - ,,ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების ტრანსფორმაცია და მათი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე" - დაცვის პროცედურების მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 9 წევრიდან 8. დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს სტატიები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 96 ქულით.
აზრი გამოთქვა: თ. ჯობავა დაინტერესდა დოქტორანტის მიერ ნაშრომში შემუშავებული რეკომენდაციებით.
მოისმინეს: მ. ცარციძემ აღნიშნა, რომ სადისერტაციო კვლევაში მიღებულ შედეგებზე და ძირითად მიგნებებზე დაყრდნობით, დისერტაციაში ჩამოყალიბებულია რეკომენდაციათა პაკეტი, რომლის ადრესატთა ჯგუფი, კვლევის საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე მეტად მრავალფეროვანია და მოიცავს სახელმწიფო უწყებებს, საჯარო თუ კერძო ინსტიტუტებს, ბიზნესის სექტორს, სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებს და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ცოტნე ჟღენტისთვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ისტორიის" დოქტორანტ **მიხეილ ქართველიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასისტენტ-პროფესორმა, ზაალ გოგენიამ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის - „საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში“ - დაცვის პროცედურების მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 9 წევრიდან 8. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 98 ქულით.

აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილი დაინტერესდა, პლაგიატზე თუ შემოწმდა დისერტაცია.

მოისმინეს: ზ. გოგენიამ აღნიშნა, რომ არაფერი საპრობლემო არ ყოფილა ამ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა: ლ. გოგიაშვილი დაინტერესდა სადისერტაციო ნაშრომი თუ გატარდა ანტიპლაგიატის სისტემაში.

მოისმინეს: ზ. გოგენიამ აღნიშნა, რომ ნაშრომი ანტიპლაგიატის პროგრამაში არ გატარებულა.

აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ პლაგიატის დადგენა არის ხელმძღვანელის და რეცენზენტების პასუხისმგებლობა.

აზრი გამოთქვა: ა. შენგელაია დაინტერესდა, თუ რატომ შეირჩა საკვლევ პერიოდად 1953-1964 წლები.

მოისმინეს: ზ. გოგენიამ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ისტორიაში ეს იყო ე.წ. „დათბობის“ პერიოდი; კვლევა ამ საკითხზე ამ დრომდე არ იყო ჩატარებული. დოქტორანტმა შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში ანტიამერიკული საქმიანობის შემსწავლელი წიგნი-დოკუმენტი და ამით მეტი წონა შესძინა დისერტაციას.

აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ რელიგიურ პრობლემებთან მიმართებაში არ იყო მონოგრაფიულად შესწავლილი ეს საკითხი და ღირებული კვლევაა.

აზრი გამოთქვა: მ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ სტატია ნორმალურ ჟურნალშია გამოქვეყნებული, თუმცა დისერტაციაში არაა გამოყოფილი კვლევის საკითხი. ისეა დაწერილი 300 გვერდი, რომ კვლევის საკითხი არაა დასმული. ეს არის პრინციპული საკითხი. ავტორეფერატის ინგლისურ ვერსიაში მითითებულია, ხოლო ქართულ ვერსიაში არ წერია.

აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილი დაინტერესდა, დაცვისას საკვლევი კითხვა როგორ იქნა წარდგენილი, ნარატივის სახით?

მოისმინეს: ზ. გოგენიამ აღნიშნა, რომ ყველაფერი წარმოდგენილი იყო დოქტორანტის მიერ, როგორც საჭირო იყო.

აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა მიმართა ზ.გოგენიას, რომ ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელია და ფაკულტეტისათვის მოეხსენებინა, შემდეგ დისერტაციებში გამოყოფილი იყოს საკვლევი კითხვა.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მიხეილ ქართველიშვილისთვის** ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ დოქტორანტ **ავთანდილ მაჭავარიანის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, თსუ პროფესორმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის - „ღეროვანი უჯრედების და ოსტეოპლასტიკური მასალების კომბინირებული გამოყენება ყბა-სახის ტრავმული დაზიანების დროს“ - დაცვის პროცედურების მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის ყველა, 7 წევრი. კომისიის წევრების მიერ ნაშრომის შეფასებისას არასწორად შეივსო ერთი ბიულეტინი, რომელიც ბათილად იქნა ცნობილი. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 6 წევრის მიერ, 97 ქულით. დოქტორანტს სამეცნიერო ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში. ფაკულტეტს აქვს ასეთ მოთხოვნა, რომ ერთი ნაშრომი მაინც იყოს გამოქვეყნებული იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში.
აზრი გამოთქვა: ე. ნადარიამ მოიწონა ფაკულტეტის მიდგომა ნაშრომების იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნების მოთხოვნის გამო.
აზრი გამოთქვა: ლ. გოგიაშვილი დაინტერესდა, თუ რა იყო ღეროვანი უჯრედების წყარო?
მოისმინეს: ვ. მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ წყაროს წარმოადგენდა ვირთაგვის ბარძაყიდან აღებული მასალა და მორფოლოგიურ-ჰისტოლოგიურ-რენტგენოლოგიურ კვლევებს ეყრდნობოდა.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ავთანდილ მაჭავარიანისთვის** მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ დოქტორანტ **თეიმურაზ გრძელიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის - „ახალი ძვლოვანი მინერალის გამოყენება დენტალურ იმპლანტაციაში” - დაცვის პროცედურების მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის ყველა, 7 წევრი. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 96 ქულით.
აზრი გამოთქვა: ლ. გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან თანამედროვე კვლევაა.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თეიმურაზ გრძელიძისთვის** მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის“ დოქტორანტ **სულხან**

ტაბაღუას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასოც. პროფესორმა, ნინო მიქიაშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის - „ფისკალური სტიმულირების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე“ - დაცვის პროცედურების მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი. ყველა ბიულეტინი სწორად იყო შევსებული. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 96 ქულით. დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ მაღალრეიტინგულ გამოცემებში. ის მონაწილეობდა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ სამეცნიერო კონფერენციებში და შედეგები წარდგენილ ჰქონდა სამეცნიერო ფორუმებზე.
მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა მიმართა ბატონ ი. ანანიაშვილს დისერტაციის შეფასებისთვის.
მოისმინეს: ი. ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ თავს შეიკავებს, რადგან სულხან ტაბაღუა მისი დოქტორანტია; ნამდვილად კარგი დისერტაციაა, აქტიური ახალგაზრდაა, არ იჩქარა და ყველაფერი გააკეთა ისე როგორც საჭირო იყო.
აზრი გამოთქვა: მ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ განთავსებულია სამი სტატია. ორში სწორადაა მითითება, ნამდვილად გამოქვეყნებულია და წესრიგში აქვს. ერთში - იმ ფორმითაა მოწოდებული, გაუგებრობას რომ ტოვებს; ესაა ონლაინ რეჟიმში ჩასმული ფორმა. შეიძლება, რომ უფრო მოწესრიგებული ფორმით მოვიდეს სტატია.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ ი. ანანაშვილმა არ მიიღო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში. საბჭოს დანარჩენი წევრების მიერ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **სულხან ტაბაღუასთვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ნინო გოგელიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია. მან აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭომ ერთხელ უკვე დაამტკიცა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია, თუმცა ფაკულტეტის წერილიდან ირკვევა, რომ მათ პირველად წარდგინებაში იყო ხარვეზი, გამორჩათ კომისიის ერთი წევრი, კერძოდ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის რეზო მარსაგიშვილი.
აზრი გამოთქვა: მ. ჩიტაშვილი დაინტერესდა კომისიის წევრების რაოდენობით და არის თუ არა სხვა უნივერსიტეტის წარმომადგენელი. არ იკითხება ფაკულტეტის წერილში, თუ რატომ უნდა დავამტკიცოთ ხელმეორედ.
მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტმა ითხოვა ბატონ რეზო მარსაგიშვილის დამატება კომისიაში.
მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის უფროსმა, დალი კანდელაკმა, საბჭოს მოახსენა, რომ გერმანული ფილოლოგიის კათედრის მიერ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს მიეწოდა ოქმის ამონაწერი. ფაკულტეტის კორესპონდენციაში კი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობის ჩამონათვალში გამოტოვებული იყო ერთი წევრი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

რეზო მარსაგიშვილი. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცდა ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია და მხოლოდ ამის შემდეგ აღმოაჩინა გერმანული ფილოლოგიის კათედრამ ხარვეზი. შესაბამისად, ფაკულტეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა კორესპონდენციის გამოგზავნა კომისიის ხელმეორედ, სრული შემადგენლობით დამტკიცების თაობაზე.

აზრი გამოთქვა: ნ. ოკრიბელაშვილმა აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭომ უნდა განიხილოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ დაშვებული ტექნიკური ხარვეზის საკითხი.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: გათვალისწინებულ იქნეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ დაშვებული ტექნიკური ხარვეზი და საუნივერისიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებულ, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ფილოლოგიის“ დოქტორანტ **ნინო გოგელიას,** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობას დაემატოს შემდეგი პუნქტი: „ი) რეზო მარსაგიშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.“

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **ზურაბ კირკიტაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სტრატეგიები და მათი ზეგავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე (საქართველოს მაგალითზე)“, სამეცნიერო ხელმძღვანელი: თემურ შენგელია - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **ზურაბ კირკიტაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) დავით მახვილაძე - ეკონომიკის დოქტორი;

ბ) დალი სეხნიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ავთანდილ სილაგაძე - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

ბ) დემურ სიჭინავა - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

გ) ნინო აბესაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

დ) ხათუნა ბერიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

ე) ირმა დიხამინჯია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

ვ) მანანა ლობჟანიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

ზ) უშანგი სამადაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

თ) შოთა ვეშაპიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

ი) ლალი ხიხაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ხათუნა თაბაგარის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „საქართველო-ირანის ეკონომიკური ურთიერთობები: რეგიონული სანედლეულო ბაზრის განვითარების პერსპექტივები“, სამეცნიერო ხელმძღვანელები: ავთანდილ სილაგაძე - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ალექსანდრე თვალჭრელიძე - თსუ კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის პროფესორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი).

აზრი გამოთქვა: მ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან 3 დოქტორანტთან მიმართებაში ფაკულტეტის წარდგინება შეესაბამება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნებს, სამივეს ერთად ხომ არ ვუყაროთ კენჭი ავტომატურ რეჟიმში?

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ თუ კითხვები არ არის, ასევე იურისტს ვკითხოთ და მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება. მან საბჭოს მოახსენა სამივე დოქტორანტის მონაცემები. დაუსვა კითხვა მორის შალიკაშვილს, ხომ არ ირღვეოდა წესი, რაზეც მან უპასუხა, რომ პრობლემა არ იქმნებოდა, თუმცა ოქმში ყოველი დოქტორანტის თაობაზე ცალკე უნდა გაფორმდეს. ქ. ხუციშვილმა მიმართა ი. ანანიაშვილს, რეცენზენტების და კომისიის წევრების შესაბამისობის შესახებ.

აზრი გამოთქვა: ი. ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ პრობლემას ვერ ხედავს და ყველაფერი წესრიგშია.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ხათუნა თაბაგარის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) რამაზ ფუტკარაძე - თსუ ასოც. პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ბ) ალექსანდრე სიჭინავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) რევაზ გველესიანი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

ბ) თემურ შენგელია - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

გ) ლელა ბახტაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

დ) შოთა ვეშაპიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

ე) დალი სეხნიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

ვ) ეკა სეფაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

ზ) მიხეილ თოქმაზიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

თ) მანანა ლობჟანიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

ი) დავით სიხარულიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

კ) შოთა შაბურიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

ლ) ჯემალ ხარიტონაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

მ) ლელა ჯამაგიძე - თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.
ნ) მამუკა ხუსკივაძე - თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **სალომე სილაგაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ინტელექტუალური მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები“, სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამაზ ზუბიაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი).
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **სალომე სილაგაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:
რეცენზენტები:
ა) შოთა ვეშაპიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.
ბ) დალი სეხნიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.
სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:
ა) მირიან ტუხაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.
ბ) გივი ბედიანაშვილი - ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.
გ) ლელა ბახტაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.
დ) რამაზ ფუტკარაძე - თსუ ასოც. პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
ე) ეკა სეფაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.
ვ) მიხეილ თოქმაზიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.
ზ) მანანა ლობჟანიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.
თ) მურმან ცარციძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.
ი) ჯემალ ხარიტონაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.
კ) ლელა ჯამაგიძე - თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **გივი მაკალათიას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „საბიუჯეტო პოლიტიკის როლი ეკონომიკურ ზრდაში საქართველოს მაგალითზე“, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელგუჯა მექვაბიშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი).
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **გივი მაკალათიას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) მიხეილ თოქმაზიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

ბ) თეა ლაზარაშვილი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ვლადიმერ პაპავა - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

ბ) თეიმურაზ ბერიძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

გ) ანზორ აბრალავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

დ) რევაზ გველესიანი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

ე) თამარ ათანელიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი ეკონომიკის დოქტორი.

ვ) ინგა ბალარჯიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

ზ) ხათუნა ბარბაქაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

თ) ნაზირა კაკულია - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

ი) მანანა ლობჟანიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

კ) მარინე ნაცვალაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

ლ) მიხეილ ჩიკვილაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

მ) მალხაზ ჩიქობავა - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

ნ) მამუკა ხუსკივაძე - ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
ქეთევან ხუციშვილი



საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი